დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის
2022 წლის 14 მარტის N02-01-69 ბრძანებით

სსიპ კოლეჯი „აისი“

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი

2022 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. სსიპ კოლეჯი ,,აისი“ (შემდგომში კოლეჯი) თავისი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, საზოგადოებაში მისი ცნობადობის ხარისხის ამაღლების მიზნით, გეგმავს და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის აქტივობებს;

1.2. კოლეჯი მუდმივად ზრუნავს უზრუნველყოს მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების, პროფესიული პროგრამებისა და პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის ზრდა, ორმხრივი, ხანგრძლივი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების შექმნისა და დაინტერესებულ პირებთან, როგორც კოლეჯის გარეთ, ასევე მის შიგნით სათანადო ურთერთობის დამყარების მიზნით;

1.3. კოლეჯი მუდმივად ანახლებს ინფორმაციას ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელის გვედზე.

1.4 კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რიგი მარეგულირებელი დოკუმენტები გაზიარებულია და საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

1.5. კოლეჯის საქმიანობა არის გამჭვირვალე, რითვისაც სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები და წლიური ანგარიშები ასევე საჯარო და ხელმისაწვდომია;

1.6.პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის, მოქალაქისთვის, პარტნიორი ორგანიზაციებისათვის, მედიისთვის და სხვა დაინტერსებული მხარეთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, გონივრულ ვადაში.

მუხლი 2. საზოგადოებასთან ურთიერთობის განხორციელება

2.1.კოლეჯი თავისი საქმიანობის წარმოსაჩენად საჭიროების შესაბამისად ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- ავრცელებს კოლეჯის სახელით ოფიციალურ მიმართვებსა და განცხადებებს;
- ხელს უწყობს პროფესიული განათლების/საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზებას;
- ხელს უწყობს კოლეჯის პროგრამის განმახორციელებელი პირების და კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის პოპულარიზაციას;
- აორგანიზებს და აწყობს საზოგადოების წარმომადგენლების, ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრებს;
- აწარმოებს შიდასაკოლეჯო კომუნიკაციას;
- გეგმავს კოლეჯში კულტურულ-შემოქმედებით, სპორტულ თუ სხვა ექსტრაკურიკულურ აქტივობებს;
- აწყობს პრესკონფერენციებს/სემინარებს და სხვა ღონისძიებებს კოლეჯის საჭიროების შესაბამისად;
- საჭიროების შესაბამისად ამზადებს/ავრცელებს სარეკლამო მასალებს;
- მართავს კოლეჯის ვებ-გვერდს;
- მართავს ოფიციალურ გვერდს სოციალურ ქსელში;
- ხელს უწყობს აპლიკანტების/პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, თანამშრომლების და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას;
- ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან,სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მოიძიებს პრაქტიკის კომპონენტის

განმახორციელებელ კომპანიებს/ბაზებს და აფორმებს მათთან ხელშეკრულებებს/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს;

- ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა დასაქმებას;
- ინფორმაციის გავრცელებისას იცავს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს;
- აკონტროლებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და არ იყოს შეცდომაში შემყვანი;
- კოლეჯი სისტემატიურად ახდენს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში განხორციელებული უკუკავშირის ანალიზს, რათა გამოვლენილი შედეგები გამოიყენოს მისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

2.2 აღნიშნული პუნქტების უზრუნველსაყოფად კოლეჯს ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელსაც ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი

2.3 საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

2.4 საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ფუნქციები გაწერილია შესაბამის სამუშო აღწერილობაში;

2.5 საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი კონკრეტული ღონისძიებიდან/აქტივობიდან გონივრულ ვადაში განათავსებს სათანადო ინფორმაციას ოფიციალურ ვებ-გვერდსა და ოფიციალურ გვერდზე სოციალურ ქსელში დირექტორთან შეთანხმებით.შეთანხმება ხდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ზეპირსიტყვიერადაც.

2.6 ფოტო/ვიდეო მასალის განთავსებისას იღებს წინასწარ თანხმობას მის გამოქვეყნებაზე ფოტოზე/ვიდეოში ასახული პირებისაგან.

მუხლი 3. საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგადი პრინციპები

3.1. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია ითანამშრომლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან და მოთხოვნილ ვადებში მიაწოდოს ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია;

3.2. კოლეჯის თანამშრომლები ითვალისწინებენ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის თხოვნას დაუგეგმავი შეხვედრების ორგანიზებასა და მონაწილეობაზე, ასევე მათი ჩართულობის საჭიროებას სხვადასხვა სახის საინფორმაციო, საიმიჯო და საკომუნიკაციო აქტივობებში;

3.3. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია აწარმოოს კომუნიკაცია კოლეჯს შიგნით, და ასევე მის გარეთ იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და გონივრულობა;

3.4. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია კოლეჯის საქმიანობის შესახებ გაკეთებული საჯარო განცხადებები და მედიასთან ურთიერთობის ფარგლებში კოლეჯის სახელით განხორციელებული აქტივობები შეათანხმოს დირექტორთან/საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან.

3.5. კოლეჯის ყველა თანამშრომელი აცნობიერებს პასუხისმგებლობას დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაციის და ასევე, უკუკავშირის სხვა შედეგების კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის გამოყენებაზე, რისთვისაც ცვლიან და ავრცელებენ ინფორმაციას;

3.6. თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, გამოიყენება სატელეფონო კავშირი, კოლეჯის ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და კოლეჯის ღია სივრცეში საინფორმაციო დაფა, სადაც გამოიკვრება გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია;

მუხლი 4. კოლეჯის ვებ-გვერდისა და სოციალური მედიის არხების მართვა

4.1. კოლეჯის ოფიციალური ვებ-გვერდის წარმოადგენს www.collegeaisi.ge კოლეჯის შესახებ ინფორმაციის მასობრივი გავრცელების მთავარ საშუალებას:

4.2. კოლეჯის ოფიციალური გვერდია სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/CollegeAisi/

4.3. ვებ-გვერდზე დატანილია ყველა ის არსებითი ინფორმაცია, რაც იძლევა პროფესიულ განათლებაში კოლეჯის ადგილისა და როლის ამოცნობის საშუალებას.

4.4. ვებ-გვერდზე/სოციალური ქსელის გვერდზე წარმოდგენილია საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად გამიზნული ინფორმაცია და დროული სიახლეები;

4.5. ვებ-გვერდზე/სოციალური ქსელის გვერდზე აისახება როგორც მიმდინარე პროცესები და აქტივობები, ასევე დაგეგმილი ღონისძიებები;

4.6. ვებ-გვერდზე/სოციალური ქსელის გვერდზე განსათავსებელად საჭირო ინფორმაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ;

4.7. ვებ-გვერდი/სოციალური ქსელის გვერდი დაინტერესებული პირებისთვის იძლევა კოლეჯისთვის შეტყობინების გაგზავნის საშუალებას, შემოსულ შეკითხვებზე პასუხების გაცემის/გადამისამართების პრეროგატივა აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯრს.

4.8. ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაცია არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება;

4.9. კოლეჯი ასევე უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულებისთვის სოციალური მედიის არხების მართვის პროცესში რეკომენდაციების მიცემას და საჭირო დახმარების გაწევას;

4.10. კოლეჯი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში ლოგოს მენეჯმენტს; ბრენდბუქის შექმნა-განახლებას; ვიზუალების და დიზაინების შექმნას საკოლეჯო სივრცისათვის; სტილის დაცულობას.

მუხლი 5. ვიზიტორები და შეხვედრები

5.1. კოლეჯის ვიზიტორებისთვის/დაინტერესებული მხარეების კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე ზრუნავს კოლეჯის ყველა თანამშრომელი, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში ახდენენ ვიზიტორის/დაინტერესებული პირის დაკვალიანებას;

5.2. კოლეჯში დაგეგმილი შეხვედრების მონაწილეების, ღონისძიებების სტუმრებისა და მედიის წარმომადგენლების მიღება/დახვედრა უზრუნველყოფილია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ, წინასწარი მომზადების საფუძველზე ან დაუგეგმავად(საჭიროებიდან გამომდინარე)

5.3. კოლეჯის საკონტაქტო ტელეფონის ნომრებია: **(0353) 200 493 და (0353) 200 423**

5.4. შემოსულ ზარებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება განსაზღვრული აქვს საქმისმწარმოებელს და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, რომლებიც თავის მხრივ, მისი კომპეტენციის ფარგლებს მიღმა არსებულ შეკითხვებზე, საჭიროებისამებრ განსაზღვრავენ ზარის შემდგომ ადრესატს და ახდენენ გადამისამართებას.

5.5.საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთ ფორმის - პირისპირ შეხვედრების ფორმატში, კოლეჯი მის მიერ განხორციელებადი სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ახდენს საჯარო და კერძო სკოლებში ინფორმაციის გაზიარებას პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და კოლეჯის პროგრამების რეკლამირების მიზნით;
5.6.საინფორმაციო ტიპის შეხვედრებში საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან ერთად ჩართულია პროფორიენტაციისა და კარიერის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სტუდენტები/მსმენელები, რომლებიც ახდენენ საკუთარი გამოცდილების გაზიარებას და პროგრამების შესახებ იძლევიან დეტალურ ინფორმაციას;
5.7. კოლეჯი მხარს უჭერს სხვადასხვა ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების, სააგენტოებისა და ასოციაციების მიერ მოწყობილ კონკურსებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, შეხვედრებში, ფორუმებსა და გამოფენებში პროფესიული განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორებისა/განმახორციელებელი პირების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მონაწილეობას;
5.8 კოლეჯი ზრუნავს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოქალაქეობრივი, კულტურული ცნობიერების, თვითგამოხატვის, იდენტობის და სხვა კომპეტენციების განვითარებაზე.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1.საზოგადოებასთან ურთიერთობის წესს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
6.2. აღნიშნულ წესში ცვლილებების ინიცირების უფლება აქვს კოლეჯის დირექტორს,დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარო დარგში,ხარისხის მართვის მენეჯერს და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს.
6.3. აღნიშნულ წესში ცვლილებებს ან/და დამატებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.